15 მაისი, № 12 1887 წელსა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მწყემსი

1883-1887

მწყემსი დამატებით გამოდის თვეში ორჯერ, ყოველი თვის თხუთმეტს და ოც-და-ათ რიცხვებში.

**გაზეთის ფასი:**

| | |
|---|---|
| ერთი წლისა გაგზავნით დაუგზავნელად | 5 მან. |
| ნახევარი წლის — — — | 3 — |
| „მწყემსი“ რუსული დამატებით — | 6 — |
| ნახევარი წლით — — — | 4 — |
| ცალკე რუსული დამატება წლით — | 3 — |
| ნახევარი წლით — — — | 2 — |

გაზეთის ფულის და ყოველ გვარი წერილების გაგზავნა შეიძლება რედაქციაში ამ ადრესით: *Въ Кеуриль, Въ редакцію „Мцкемси“ (Пастырь).*

ყველა სტატიები და კორესპონდენციები, რომელნიც რედაქციაში იქმნებიან გამოგზავნილნი დასაბეჭდავათ, უთუოდ ვრცლად და გასაგებად უნდა იყვნენ ავტორთაგან ხელ-მოწერილნი. ავტორთაგან გამოგზავნილი სტატიები შეიძლება ხან-დის-ხან შემოკლებით და შესწორებით დაიბეჭდონ.

სტატია, რომელნიც არ დაიბეჭდებიან, სამი თვის განმავლობაში შეიძლება ავტორებს მათის ხარჯით უკანვე დაუბრუნოს.

სტატიები მიიღებიან რუსულ ენაზედ დაწერილნიც და თარგმნით დაიბეჭდებიან.

## რა არის საჭირო, რომ მწყემსთა სამწყსოთა შორის სასურველი განწყობილება და დამოკიდებულება დაარსდეს?

იყო დრო, როდესაც საქართველოის ეკკლესიის მწყემსთა და სამწყსოთა შორის მშვენიერი განწყობილება და დამოკიდებულება სუფევდა. ეს დამოკიდებულება მაშინ სწორეთ რომ მამა-შვილური იყო. სულიერნი მწყემსნი თავის შეძლებისა-და-გვარად სამწყსოთათვის თავდადებულნი იყვნენ და სამწყსონიც მათ ხმას ისმენდენ და მწყემსნი ჭეშმარიტ მზრუნველ მამებად მიაჩნდათ მათ.

მაგრამ, სამწუხაროდ, დრო შეიცვალა და დროსთან ეს მამა-შვილური დამოკიდებულებაც ჩვენ მწყემსთა და სამწყსოთა შორის შესუსტდა. ხალხში სრულებით სხვა არა სანატრელი შეხედულება იბადება სამღვდელოებაზე. ეს სამწუხარო შეხედულება პირველ ჩნდება ქალაქებში და აქედამ, როგორც გადამდები სენი, ვრცელდება სოფლებშიაც.

ძველ დროში, როგორც ვიცით, მღვდლის დანახვა და მასთან შეხვედრა ყველას სასიამოვნოდ მიაჩნდა და ამ დღეს ბედნიერად რაცხდენ. ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან მაშინ მღვდელი საყვარელი, პატივსაცემი და მზრუნველი მამა იყო. მაგრამ ასლეთ ეხლანდელი დროის ამაოდ-მორწმუნეობით გატენილნი ზოგიერთნი პირნი, ესრეთ წოდებულნი ინტელიგენციის წარმომადგენელნი? დღეს, საუბედუროდ, ზოგიერთებისათვის მღვდლის დანახვა და მასთან შეხვედრა უსიამოვნო და უბედურების მომასწავებელ შემთხვევად რჩება. ამ ამაოდ-მორწმუნეობას ვხედავთ არა მარტო მდაბალ ხალხში, არამედ ამ სენით გატენილნი არიან მრავალნი გონებით განვითარებულნი პირნიც. დააკვირდით კარგად, თუ რა მხეცობას და უგნურებას სჩადიან ეს პირნი მღვდლის დანახვის დროს? ესენი ამ დროს აფურთხებენ და თავის გულში ილანძღებიან. განსაკუთრებით მღვდლის შეხვდა არ ესიამოვნებათ დილით, რადგან ჰგონიათ, რომ ყოველივე ნაგულვები საქმე ამ შემთხვევის გამო ჩაეშლებათ. ამ საქმეში წინ თუ არა უკან აღარ რჩებიან მამა კაცებს დედა-კაცნიც. ეს რევენული შეხედულობა მღვდლებზე გიმნაზიებში მოსწავლე ახალ გაზრდა ქალთაც კი ვერ მოუშორებიათ თავიდგან, და როდესაც ხედავ, რომ ისინი, შეხვდებიან თუ არა მღვდელს, პირს იბრუნებენ და იფურთხებიან, იმდენად შენ თავზე არ ნანობ და სტირი, რამდენათაც

ზნეობით და გონებით დამახინჯებაზე. მერე ვინ ჩადიან ამაებს? ისინი, რომელთაც ჭეშმარიტი და ნამდვილი დედის მნიშვნელობა დაუვიწყებიათ; ისინი, რომელნიც თავიანთ ახალ დაბადებულ შვილებს ქუჩებში ჰყრიან და ძაღლებმაც რომ შესჭამონ ისინი, არ დაეძებენ და არ დარდობენ.

შეიძლება ვინმემ გვითხრას, რომ ეს წვრილმანებია და ამისგან საზოგადო დასკვნის შედგენა არ შეიძლებაო. მართალია, ეს წვრილმანებია, მაგრამ დიდი ყურადღების მისაქცევი კია სამღვდელოებისაგან. ეს გარემოება საყურადღებო არ იქნებოდა, რომ სოფლებიდამ ვრცელდებოდეს ქალაქებში. მაგრამ დღეს ეს საყურადღებოა, რადგან სოფლის ხალხი ამ არა სასიამოვნო შეხედულებას სამღვდელოებაზე ადგენს მაღალ წოდების და ნასწავლი ხალხის მიხედვით.

ყველა ამისთანა წვრილმანებსაც რომ თავი დავანებოთ, ამ უკანასკნელ დროს მაინც არ არის მწყემსთა და სამწყსოთა შორის ის განწყობილება, რომელიც ყველასაგან სასურველია. იმ დროს ვეღირსეთ, მადლობა ღმერთსა, როდესაც სოფლის მღვდლათ ნასწავლი პირები მიდიან. დღეს, მადლობა ღმერთსა, საზოგადოებაში აქა-იქ ჭეშმარიტად განათლებულ პირთაგან ისმის სასიამოვნო ხმები სამღვდელოებაზე და მათ დიდ დანიშნულებაზე. ჩვენი ვალდებულებაა ხელი შევუწყოთ ამ კეთილ ხმებს და დავუმტკიცოთ საზოგადოებას საქმით, რომ მღვდლები მათთვის არიან მზრუნველნი როგორც სულიერად, ისე ხორციელად.

კმარა ჩივილი და ლაპარაკი ჩვენი ნივთიერი მდგომარეობის გაუმჯობესობაზედ, ხალხის გაუნათლებლობაზე და უგრძნობლობაზე. ნურავინ ნუ მოელის იმ დროს, რომ სამღვდელოების მდგომარეობა სრულიად გაუმჯობესდეს და მათ აღარაფერში ნაკლულევანება არ ექნესთ...

მწყემსნი ვალდებულნი არიან მუდამ თავს დასტრიალებდნენ სამწყსოთ, გარს უვლიდნენ მათ და ნიადაგ ზრუნვიდნენ მათ სულიერ განვითარებისათვის და ხორციელად კეთილ დღეობისათვის. პირუტყვთა მწყემსნიც კი ასე ზრუნვენ თავის სამწყსო ცხოვართათვის, ისინი ნიადაგ ერთგულად უვლიან მათ, ეძებენ მათთვის საზრდოს, უგერებენ მათ მტაცებელ მხეცებს და შველიან მათ რაიმე ავად მყოფობის და სატკივრის დროსაც.

ჩვენი ეხლანდელი საზოგადოების ნაწილს კიდევ არა აქვს კარგად შეგნებული სამღვდელოების დიდი და მაღალი დანიშნულება, არ იციან კიდევ, თუ რა დიდი ზნეობრივი დამოკიდებულება უნდა სუფევდეს მათ და მწყემსთა შორის. ზოგიერთები სამღვდელოებას უყურებენ ისე, როგორც სხვა მოხელე და მოსამსახურე პირთა. ამის გამო მღვდელს ხალხი უყურებს მხოლოდ როგორც სხვა-და-სხვა მღვდელ-მოქმედებათა და წესთა აღმასრულებელს და რამდენათაც ხალხს ამ გვარ შემთხვევებში აუცილებლად სჭირდება მღვდელი, იმდენად ის პატივსა სცემს მას და ემსახურება. მაგრამ ზოგიერთ შემთხვევაში, სამწუხაროდ, ხალხის სამღვდელოებაზე ამისთანა შეხედულების მიზეზნი თვითონ ზოგიერთნი მოძღვარნი არიან. პირველი მათი საკითხავი მღვდლად წასვლის დროს არის სამრევლოს შემოსავალი და ჯამაგირი. პირველ ხარისხზე ასეთი მოძღვარნი აყენებენ თავის ცხოვრებას და მეორეზე — მღვდელობას, ერთი სამრევლოდამ მეორე სამრევლოში დიდის სიამოვნებით გადავლენ, თუ დარწმუნდენ, რომ მეორე სამრევლოში სულ უკანასკნელი ხუთი თუმნით მეტი შემოსავალი ექნებათ მათ. ამისთანა მოძღვართა და სამწყსოთა შორის, რასაკვირველია, სჩანს, რომ არ ყოფილა ზნეობრივი და მტკიცე დამოკიდებულება, რომელიც ასე საჭიროა. ამ გვარი არა საკადრისი საქციელი ზოგიერთ მოძღვართა, რასაკვირველია, შეუმჩნეველი არა რჩება ხალხისათვის და ისიც მიტომ აყენებს მათ ერთ წრეზე სხვა მოსამსახურე და მოხელე პირებთან, რომელთაც რამდენათაც ბევრს მისცემ, იმდენად ერთგულად იმსახურებენ. რომ ხალხმა ეს შეხედულება გამოიცვალოს მღვდელზე, მიუცილებლად საჭიროა, რომ მწყემსთა და სამწყსოთა შორის დაარსდეს სრული სიყვარული, თანაგრძნობა, ნდობა და მაშინ მხოლოდ აღდგინდება მათ შორის კეთილი და სასიამოვნო განწყობილება. რა საშუალება უნდა იხმაროს, ან როგორ უნდა მოიქცეს მღვდელი, რომ ეს სიყვარული, თანაგრძნობა და სრული ნდობა დაიმსახუროს სამწყსოსაგან ამაზე ჩვენ მოვილაპარაკებთ შემდეგში.

მღვ. დ. ღამბაშიძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ზოგიერთ მღვდელთა საყურადღებოთ.

ერთ გვარი ხანგრძლივი ძილია, რომელსაც მედიცინურს მეცნიერებაში განვითარებულნი პირნი საგათას ძილს (летаргическій сонъ) უწოდებენ. ვისაც ეს ძილი მოუვა, მას რამოდენიმე დღე, კვირა, და ხშირად თვეებიც უგრძნობლად სძინავს. საგათას ძილით შეპყრობილი ადამიანი იქნამდის მიმკვდარებულია, იქნამდის მიხდილი აქვს მას ყოველ გვარი სიცოცხლის ნიშნები, რომ კარგი გამოცდილი და მეცნიერი მკურნალი არის საჭირო, რომ გაარჩიოს ადამიანი ნამდვილის მკვდრისაგან. მრავალი მაგალითია, რომ საგათას ძილით შეპყრობილი ადამიანი საუკუნოდ გამოუსალმებიათ ამ წუთის სოფლისათვის და შთაუბარებიათ დედა-მიწისათვის. საძაგელი რამ არის ეს ძილი: სნეულს ყველაფერი ესმის, რაც კი მის გარშემო ხდება, ესმის, რომ მას დასტირიან თავზედ მისი ჭირის-უფალნი და ნათესაობა, ესმის რომ ეს უკანასკნელნი შესდგომიან კიდეც მის განსვენებისა და დასაფლავების თადარიგს. ესმის ყველა ეს, მაგრამ რაღაც უცნაურის ძილით იქნამდის შეპყრობილია, რომ აღარა აქვს ღონე და საშუალება სიცოცხლის ნიშნების გამოჩენისა, თვით სუნთქმა, ფილტვების მოძრაობა ეს უპირველესი ნიშანი სიცოცხლისა იქამდის დადუმებულია, რომ კაცი ველარ ამჩნევს მათ მოძრაობას. ვინ მოსთვლის იმას, თუ მას შემდეგ, რაც რომ კაცი გაჩენილა დედა-მიწის ზურგზედ, რამდენი ცოცხალი ადამიანი ჩაუბარებიათ ამ სენის მეოხებით კაცის ხორცითა და ძვლებით გაუმაძღარი დედა-მიწისათვის! ამ ძილს თავისი ვადა აქვს და, როდესაც იმ ვადაზედ მიაჭრის, თავიდამ შორდება თავის მსხვერპლს, სნეული იღვიძებს, ფხიზლდება და სიცოცხლის ნიშნები უბრუნდება. მაგრამ ვაი იმ გამოღვიძებას, როგორშიაც ხედავს თავის-თავს საბრალო ცოცხლად დამარხული ადამიანი! სიკვდილი, რა გვარიც უნდა იყოს ის, მწარე და საშინელია, მაგრამ არაგვარი სიკვდილი არ შეედრება იმ ტანჯულს სიკვდილს, რომლითაც კვდება სამარეში დამარხული ზემოხსენებული ძილისაგან განთავისუფლებული ადამიანი. გავლილი საუკუნოების მეცნიერებამ ბევრი არა იცოდა რა ამ ძილის შესახებ და არც არავინ აქცევდა ამ გარემოებას ყურადღებას, მაგრამ ჩვენი საუკუნის წინ წასულმა მეცნიერებამ კი გამოიკვლია და მოჰფინა ნათელი ამ ბნელით გარემოცულს მოვლენას: ერთ გვარი მეცნიერება არის, რომელსაც არხეოლოგიას ეძახიან. ამ მეცნიერების მიმდევნი ადამიანები არა სჯერდებიან მას, რასაც ხედავენ დედა-მიწის ზურგზედ და ხშირად დედა-მიწის გულშიაც ჩადიან და იქ ეძებენ და სჩხრეკენ თავიანთ მეცნიერებისა და გამოკვლევათათვის საჭირო მასალებს. ამ ხელობის პირები არა ერთ გზის სწვევიან სამარეებს, სადაც განისვენებენ რომელიმე საუკუნის ისტორიული პირები, გაუხსნიათ ეს სამარეები და ამოუკრებიათ იქიდამ თავიანთვის საჭირო ცნობები. ამ საფლავების ჩხრეკის დროს არა ერთი და ორი მიცვალებული უნახავთ კუბოში თავდაღმა მდებარე! უნახავთ ისიც, რომ მიცვალებულს თავის თმის ნაგლეჯები ხვევია ხელის თითებზედ! შეხვედრიათ ისეთი შემაძრწუნებელი სურათიც, რომ მიცვალებულს თავის ხელი სდებია პირში, უნახავთ, რომ მიცვალებულს სახე დაფხაჭნილი ჰქონებია და სხვა-და-სხვა. რასაკვირველია, ყველა ეს იმის უტყუარი საბუთია, რომ მიცვალებულს გამოღვიძებია სამარეში, და რომ საშველი არა კუთხით გასჩენია, საშინელ ტანჯვა და ვაებაში განუტევებია სული. მის შემდეგ, რაც რომ ამ ნაირი მაგალითები ნახა გონებით წინ წასრულმა წრემ, ვალდებულებად გახდა იქ, სადაც კაცის სიცოცხლეს ბევრად აფასებენ, რომ საეჭვო მიცვალებული მანამ არ დაიმარხოს, სანამ ის არ იქნება შემოწმებული მეცნიერ ესკულაპთა მიერ, და სანამ მტკიცე საბუთს არ მიიღებენ მისას, რომ საეჭვო მიცვალებული ნამდვილი მკვდარია. ამ საშუალებასაც არა სჯერდებიან გონება გახსნილი ხალხი და სცდილობენ ისეთ ნაირად მოაწყონ საეჭვო მიცვალებულის სამარე, რომ ვინიცობაა დასასაფლავებელი პირი საგათის ძილით შეპყრობილი აღმოჩნდა და სიცოცხლის ნიშნები გამოიჩინა, თვით საფლავში სუნთქვა შეეძლოს და თავის გაცოცხლების შეტყობინებაც ცოცხალი ადამიანისათვის, მაგრამ რადგანაც ორივე ეს საშუალებანი ჩვენში ძვირია და საკმაო ხანიც გაივლის მანემდის, სანამ ამ ნაირი წესი ფეხს მოიკიდებს და გავრცელდება ჩვენში, ვგონებ საჭიროა ის საშუალება მაინც იქმნეს ხმარებული, რომელიც ყველაზედ უფრო მარტივი და ადვილია: ჩვენის აზრით აუცილებლად საჭიროა, რომ არც ერთი მიცვალებული არ დაიმარხოს მანემდის, სანამ ნამდვილი მკვდრის ნიშნებს არ გამოიჩენს. ჩვენში ზოგიერთ კუთხის მცხოვრებლებს ამ მხრით მეტად ცუდი ჩვეულება აქვსთ მიღებული: ადამიანი მოკვდება თუ არა, თუ იმავე დღეს არა, მეორე დღეს მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

უსათუოდ უნდა დამარხონ! მიცვალებული, რაც უნდა საყვარელი იყოს ის დანარჩენი ოჯახის წევრებისა, (ეს ჩვეულობა უფრო გლეხობაშია გავრცელებული) ისე მოსძულდებათ, რომ სანამ მოაცილებდენ და დამარხავდენ მიწაში, თითქმის სული მისდით. ყველასათვის ცხადია, რომ ნამდვილი მკვდარიც ორი სამი დღის განმავლობაში კიდევ არ ჩაითვლება სრულებით მკვდრათ. მის რომელიმე სხეულის ნაწილში კიდევ შეუძლია მეცნიერს ადამიანს იპოვოს სიცოცხლის ნიშნები. და რაღა თქმა უნდა, რომ ასე მოკლეს დროში დამარხვა ადამიანისა მეტად დიდი საცოდაობა არის.

ვინ არის მოვალე, რომ ამ გარემოებას დაუფიქრდეს და მიაქციოს ყურადღება? ჩვენა გვგონია, რომ ეს ვალდებულება სხვაზედ უფრო აწევს სასულიერო უწყებას, თითოეულს მღვდელს, რომელმაც უნდა ამ გარემოებას მიაქციოს ყურადღება. მღვდლის ვალია გახდეს დამხმარე და ჭირისუფალი თავის სულიერი შვილისა, შთააგონოს თავის მრევლს და გააცნოს ზემოთ მოყვანილი გარემოება შესახებ მისა, რომ მალე დამარხვით მიმკვდარებული ადამიანი არ გახდეს მსხვერპლი ცოცხლად დამარხვისა. დიაღ, ეს უკანასკნელი არიან მოვალენი, რომ მიცვალებული მესამე დღის შესრულებამდის მაინც არ დამარხონ. მაგრამ ვინ ასრულებს ამ მოვალეობას. უმეტესი ნაწილი მღვდლებისა თვითონ ურჩევენ ჭირისუფალთ მიცვალებულის მალე დამარხვასა. ჩვენამდის მოაღწია ერთმა ამბავმა, რომლის მკითხველისადმი გაზიარება უადგილოდ არ მიგვაჩნია: ამას წინეთ ერთი მიცვალებული დაუმარხავთ მეორე დღეს. როდესაც მიჰქონებიათ მიცვალებული ეკკლესიაზედ, ერთ წამლებთაგანს შეუნიშნავს კუბოში რაღაც მოძრაობა, მაგრამ რასაკვირველია, ეს გარემოება უყურადღებოთ დაუტოვებიათ და კუბო მიწაში ჩაუშვიათ; ვინ იცის, იქნება საწყალი გარდაცვალებული მართლა ამ ნაირის ძილით იყო გარემოცული. დრო არის ამ ნაირს გარემოებათა მიაქციონ ჯეროვანი ყურადღება ჩვენმა ზოგიერთმა სულიერმა მამებმა, და თავიდამ ააშორონ თავიანთ სამწყსოს ამ ნაირი შემაძრწუნებელი ჩვეულებანი...

ქაიხოსრო გელოვანი.

## რომელ წმიდანის სახელობაზე უფრო ბევრი ეკკლესიებია აღშენებული სამეგრელოში და რატომ?

მთელს სამეგრელოში ეკკლესიების ორი მესამედი წმ. გიორგის სახელზე არის აღშენებული. დანარჩენი ეკკლესიები კი აგებულნი არიან მაცხოვრის, ღვთის მშობლის და სხვათა წმიდათა სახელიზედ. რა არის ამის მიზეზი? ამის მიზეზი, ჩვენის ფიქრით, ის არის, მკითხველო, რომ მდაბალს ხალხს სამეგრელოში ძალიან სწამს წმ. გიორგი. წმიდა გიორგის ხატი მიაჩნიათ აქ სასწაულ მომქმედ ხატად. დაბალი ხალხის აზრით მხოლოდ წმ. გიორგის ხატი არის უძლიერესი და სიჩქარით თხოვნის აღმსრულებელი. მეგრელს სწამს, რომ წმ. გიორგის ხატი არ უმტყუნებს მასს, თუ მან ამ ხატზე გადასცა ვინმე, ან დასწყევლა. მეგრელი გლეხი ადვილად დაიფიცებს ტყუილზე მაცხოვრის ხატის, ჯვარსა და სახარების წინაშე, თუ საჭიროებამ მოითხოვა ეს, მაგრამ წმ. გიორგის ხატის წინაშე ძნელად გაბედავს სიცრუის თქმას, რადგან დარწმუნებულია იგი, რომ წმ. გიორგი კაცს ცრუ ფიცისთვის გადარევს და ათქმევინებს: მე ვარ დამნაშავე და ამა და ამ საქმის მქნელიო. ამიტომ სამეგრელოში მდაბალი ხალხი სალოცავად უმეტეს ნაწილად მიილტვის წმ. გიორგის ეკკლესიაში და თან მიაქვს დიდ-ძალი შესაწირავი. აქ წმ. გიორგის ხატს ბლომად ეწირება: ფული, სანთელი, ხარი, ცხვარი, გოჭი, მამალი და სხვა. ამ შეწირულებათა გარდა სამეგრელოში ბევრგან შეხვდებით წმ. გიორგის ეკკლესიებთან ასობით დაწყობილ ორ წვერიან რკინის „ბოძალთა", რომლებიც მდაბალი ხალხისაგან არის შეწირული წმ. გიორგისადმი იმ მიზნით, რომ წმიდა გიორგის „ისარ ბოძალის სროლა უყვარსო."

რადგან ხალხი უფრო პატივსა სცემს წმ. გიორგის სახელზე აღშენებულ ეკკლესიებს და დიდ-ძალ შეწირულებას სწირავს მათ, ამიტომ ეს ეკკლესიები უფრო მდიდრები არიან, ვინემ სხვა წმიდანების სახელობაზე აღშენებული ეკკლესიები. ესეც უნდა აღვნიშნოთ, რომ ხალხის თვალში გარჩევაც არის წმ. გიორგის სახელობაზე აღშენებულ ეკკლესიებ შორის. ხალხიც ფიქრობს, რომ წმიდა გიორგის ატი ზოგი უფრო ძლიერია და ამიტომ ვითომ წმიდა გიორგის ყველა ხატს, მათის ფიქრით, არ შეუძლია ერთი და იგივე სასწაულის მოხდენა. მეგრელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი უფრო პატივსა სცემენ და უფრო ძლიერად რაცხვენ ჟულის *), გულჯრის **), სუჯუნის, ილორის (აფხაზეთშია) და ქიაჩის წმიდის გიორგის ხატს და ამიტომ ეს ეკკლესიები უფრო მდიდრდები არიან. მაგრამ ზემოთ მოხსენებულ ეკკლესიებში უფრო მდიდარია ყულის ეკკლესია: ამ ეკკლესიას, მიახლოვებით რომ ვსთქვათ, ათას მანეთზე ნაკლები არ შემოუვა წელიწადში. ამ ეკკლესიის მღვდლებსაც კაი შემოსავალი აქვსთ. თითო მღვდელს მარტო ამ წყაროდამ შემოუვა წელიწადში, სულ უკანასკნელი რომ ვსთქვათ, 300 მანეთი. ხალხი ფიქრობს, რომ წმ. გიორგიმ კარგად შეიწიროს მისი შესაწირი და გულის წადილიც აღუსრულოს მას, პირველად მღვდელი უნდა დაასაჩუქროს კარგად და ამიტომ მღვდელს კარგ საჩუქარს აძლევენ. ხალხს ერთის მხრით შიში აქვს ხატისა და მეორეს მხრით მღვდლისა. შიშობს, რომ მღვდელმა ცუდად არ შეასმინოს შემწირველი ხატს.

წინეთ ჟულის ხატს სოფლად დაატარებდენ ხოლმე, რომ ყოველ გლეხს შეეწირა მისთვის შეძლებისა და გვარად. (ამ ხატს დიდ პატივსა სცემდენ აფხაზეთში). ყველას დიდ ცოდვად მიაჩნდა ხატის შეუწირველად გაშვება. ამ ხატს დიდ შესაწირს სწირავდნენ თავადნი, აზნაურნი და გლეხნი. ისე გლეხი არ დარჩებოდა, რომ ამ წმ. გიორგის ხატისათვის ორი აბაზი მაინც არ შეეწირა. მაგრამ სად და ვის სასარგებლოდ მიდიოდა ეს შესაწირი, დღესაც შეუტყობელია. ადგილობითი მღვდელ-მთავრები უკრძალავდნენ მღვდლებს ამ ხატის სოფლად ჩამოტარებას, მაგრამ მღვდლები ამას ფარულადაც ახერხებდენ. მათ იცოდენ, რომ ვერავინ გაბედავდა ჟულის მღვდლის შესმენას მღვდელ-მთავართან. თუ ვინმე გაბედავდა ამას, ის მაშინ უნდა გამოსალმებოდა ცოლ-შვილს და წუთი სოფელს. ერთს ეტყოდა მღვდელი წმ. გიორგის და ეს საკმაო იყო! იმერეთის ეპისკოპოზმა გაბრიელმა, როცა ის სამეგრელოს ეპარქიას განაგებდა, შეიტყო, რომ წმ. გიორგის ხატს სოფლად ატარებდნენ მღვდლები და სასტიკად აღუკრძალა მღვდლებს ამ ხატის სოფლად ტარება. მართლაც, გასჭრა ყოვლად სამღვდელოს ფიცხელმა ბრძანებამ და აქედგან მოისპო ხატის ტარება სოფლად.

*) ჟულის იმიტომ ეძახიან, რომ ხალხის ფიქრით ამ ხატს ყურში ესმის და მალე შეუსრულებს კაცს თხოვნასაო.

**) «გულჯრი» გულს მოიყვანს და დამნაშავეს არ აპატიებსო.

ზემოთ მოვიხსენიეთ, რომ ხალხს დიდი შესაწირავი მიაქვს წმიდა გიორგის ეკკლესიებში-თქო. აქ წინააღმდეგი არაფერია. ეს სარწმუნოებრივი წესია, ღვთის სიყვარულისათვის გულ-უხვობაა. შენის ნებით სწირავ ტაძრის სასარგებლოდ ნაწილს შენი მონაგებიდამ იმ ფიქრით, რომ ღმერთი თანაშემწე გეყოს შენ ყოველსავე საქმესა შინა. ამ გვარებში ჩვენი ქართველები ყოველთვის გულ-უხვობას იჩენდენ; ამას ამტკიცებენ ის მამულები, რომლებიც შეუწირავს ქართველებს ეკკლესიების და მონასტრებისათვის. მაგრამ ყოველ შეწირულებას აქვს მნიშენელობა მაშინ, როდესაც შენის ნება-ყოფლობით შეგაქვს შესაწირი ტაძარში. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ შენ შენის ნებისა და სურვილისა გარეშე შეგაწირვინეს არა ერთი მანეთი და ორი, არამედ ასი მანეთი და უმეტესიც, ამას შესაწირი არა ჰქვია. მაგრამ ასეთი შემთხვევები ხშირია დღეს. ზოგიერთი სულიერი მამები თავის უკანონო მოქმედებით მნიშენელობას უკარგვენ შესაწირს და მასთან ცუდ აზრს აღგენინებენ ხალხს თაიანთ მოძმეებზე. რომ ეს უბრალო სიტყვებად არავინ ჩამოგვართვას, ჩვენ მოუთხრობთ მკითხველს ერთი სულიერი მამის უკანონო და ღვთის მცნების წინააღმდეგ საქციელს, რომელიც ჩვენ გადმოგვცა ერთმა სარწმუნო პირმა.

მეგრელიაში ერთი წმ. გიორგის ეკკლესიის მღვდელს ჰყოლებია ქალი გათხოვილი აფხაზეთში. ამ ქალს გარდაცვალების წინ გადუცია წმ. გიორგის ხატზე თავის ქმრის დის ქმარ-შვილი. არ გასულა ამის შემდეგ დიდი ხანი, რომ ამ ხატზე გადაცემულ ქალს მოჰკდომია ორი შვილი, ქალ-ვაჟი. ამათში ერთი ცეცხლში დასწვია და მეორეც ჩვეულებრივი სიკვდილით გარდაცვლილა. მწუხარე მშობლებს ეს უბედურება მიუწერიათ წმ. გიორგის ხატისათვის. წამოსულან აფხაზეთიდამ სამეგრელოში წმ. გიორგის ხატის შესავედრებლად. როცა მეგრელიაში მოსულან საწყალნი მშობელნი, მიუმართავსთ მათ წყევის ასაშობად იმ მღვდლისათვის, რომელიც მამა ყოფილა იმ ქალისა, რომელსაც ეს საწყლები ხატზე გადაუცია. ამ მღვდელს უთხრობია საწყალი მშობლებისათვის შემდეგი: „მე კარგად ვიცი, თუ როგორ გადაგცათ ჩემმა შვილმა თქვენ ხატზე და ამიტომ რასაც მე გეტყვით, თუ ის შესაწირი არ მიართვით წმ. გიორგის, ისე არა გეშველებათ რაო. თქვენ უნდა შესწიროთ წმ. გიორგის სანთლის ერთი დიდი როგო, ერთი ულელი რქებ მოჭედილი თეთრი ხარი, ერთი

გაუხედარი ცხენი სამაგალითო ფერისა და მოყვანილობისა, ერთი თეთრი ცხვარი, რომელსაც ჯერ მაგრატელი არ შეხებოდეს და ერთი თეთრი მამალი, რომელსაც კუდი წითლად ჰქონდეს შეღებილი. ცხენი და ხარები უნდა მიაბათ ეკკლესიის კარებზე ჩალის ღეროთი. გარდა ამაებისა უნდა შესწიროთ ფული და ჩემ შვილი-შვილებსაც უნდა აჩუქოთ ფულები, რომ მათ გულს არ დააკლდეს, რადგან წყევაში ასე იყო მოხსენებული: „სანამ ჩემი შვილები არ მოიმადრიელოსო». რა უნდა ექნათ საწყალ მშობლებს! დაბრუნებულან ისევ აფხაზეთში, უშოვიათ ყველა ქსეები და მოსულან ისევ მღვდელთან, რომელსაც შემდეგ შეუვედრებია საწყლები წმ. გიორგის ხატისათვის. ნუ თუ ეს ყველაფერი მართალია? თუ ეს მართალია, მაშ დავიწყებია სულიერ მოძღვარს მაცხოვრის შემდეგი სიტყვები, თქმული „მწვლილის“ შემწირველ დედა-კაცზედ: კითარმედ დედა-კაცმან ამან უმეტეს ყოველთასა შესწირა. აგრეთვე დავიწყებია მას, რომ მსხვერპლი ღვთისა არს სული შემუსვრილი გული შემუსრვილი და არა გაუხედარი ცხენი და კუდ-შეღებილი მამალი.

მორწმუნე ადამიანი.

---

## საისტორიო მასალა. *)

### თავი VII

### ეკკლესიებზედ.

სამღვდელო და საეკკლესიო მოსამსახურების შემდეგ დაგვრჩა ვილაპარაკოთ ეკკლესიებზედ. ეკკლესიები სამეგრელოში არიან ოთხ გვარნი. პირველი რიგის ეკკლესიები არიან პატარა საყდრები ანუ აკანოები, რომელნიც, თითქმის, ყველა მეგრელებსა აქვსთ თავიანთვის და რომლებშიაც ლოცულობენ იგინი. მეგრელები ამ პატარა საყდრებს უწოდებენ საჯვარეს. მეორე რიგის ეკკლესიებს ეკუთვნიან ის ეკკლესიები, რომელნიც თავადებსა აქვსთ თავიანთ სახლებში და რომლებსაც ეწოდება იგივე სახელი—საჯვარე. მესამე რიგის ეკკლესიები სამრევლო საყდრებია, და მეოთხე—საკათედრო სობოროები. ყველაზედ უმშვენიერესი ეკკლესია არის მოქვის ეკკლესია. ყველა ეკკლესიებს აღმოსავლეთისაკენ აქვთ პირი, ისე, როგორც იყო აშენებული სოლომონის ტაძარი. ეკკლესიებში არის მრგვალი საკურთხეველი და ტრაპეზი, სადაც აღასრულებენ საღმრთო მსახურებას. ეკკლესიები არიან მორთულნი დაოქროილი ან დავერცხლილი სპილენძის დიდრონი ხატებით. ხატები მოოჭვილებია მარგალიტებით ან სხვა ძვირფასი ქვებით, რომელნიც უმეტეს ნაწილად ყალბებია. ეკკლესიებში ხატებთ შორის არის ხატი ღვთის მშობლისა, ბერძნული მხატრობისა, ღვთაების ხატი ბერძნულივე, ჯვარცმა, რამდენიმე ხატნი ბერძენთა და სხვათა წმ. მამათა. ყველა ხატებს აბრეშუმის ფარჩები აქვსთ ჩამოფარებული. ყველა ხატებში უფრო პატივსა სცემენ წმ. გიორგის ხატს. ამიტომ ამ ხატის წინ ყოველთვის მრავალი წმინდა სანთელი ანთია. შეიძლება ზემოდ მოხსენებული ეკკლესიათა რიცხვს მიუმატოთ კიდევ მეხუთე რიგის ეკლესია, სახელდობრ მარანი, (?) რომელშიდაც მათი პაპები ხან-დის-ხან აღასრულებენ საღმრთო მსახურებას, რომ უმეტესად აღატყინნენ სიყვარულითა ღვთისადმი.

მეორე რიგის ეკკლესიები უმეტეს ნაწილად ქვიტკირით არიან ნაშენნი. ზოგი კი ხისანია და შიგნით ჩუქურთმით არიან მორთულნი. გუმბათი აქვსთ სპილენძის ფურცლების, ან მუხის თხელი ფიცრისაგან გაკეთებული; გუმბათები შეღებული აქვსთ. ამ ეკკლესიებში არის ტრაპეზი, საკურთხეველი აბრეშუმის და ზოგან ოქრო-ქსოვილი ფარჩის კრეტსაბმელით, და მოწყობილნი არიან სამწირველოდ ბერძნულ წესზედ. ამ ეკკლესიებში ჰკიდია თავადის და მისი მეუღლის სახე და ასვენიან წმიდათა ხატები ისე, როგორც სხვა ეკკლესიებში. თვითეულ ეკკლესიას ყავს მიჩენილი საკუთარი კარის მღვდელი, ან პაპა ან ბერი, რომელმაც ყურადღება უნდა იქონიოს ეკკლესიაზედ. თავადი ხშირად დადის ამ თავის ეკკლესიაში და წირვასაც მაშინ შეუდგებიან ხოლმე, როცა თავადი მოვა ეკკლესიაში. ამ ეკკლესიებშივე ლოცვილობენ აგრეთვე დიდ მარხვაში.

მესამე რიგის ეკკლესიები ზოგნი ხისანია და ზოგნი ქვისა. სცდილობენ მაღლობ ადგილებზედ ააშენონ ეკკლესიები, რომ სინოტიემ არ წაახდინოს მხატრობა. ეკკლესიები შემოზღუდულნი არიან ქვის ან მესერის გალავნით, რომელშიაც, ეკკლესიის გარშემო, სდგას რამდენიმე დიდი ხე. ეს ხეები ხატები, სათვის არიან შეწირულნი, რის გამოც ამ ხეებს არასოდეს არა სჭრიან და არც არავის შეუძლიან შეეხოს მათ—

*) იხ. „მწყემსი“ № 8, 1887 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რადგან ეშინიათ, რომ ამით არ გაარისხონ ხატი. ზალაეანში ჰმარხვენ მკვდრებს; ეკკლესიაში კი არავის არ ჰმარხვენ. ეკკლესიის კარებთან გაკეთებულია პატარა სტოვა, სადაც დგებიან ქალები, როდესაც მიდიან იგინი ეკკლესიაში, მაგრამ ეკკლესიაში მიდიან იგინი მარტო აღდგომა დღეს. მხოლოდ დედოფალსა აქვს ეკკლესიაში შესვლის ნება. ეს ბერძენთ წესია. ეს პატარა სტოვა არის ხოლმე ამასთანავე რომელიმე კეთილ-შობილთ სასაფლაოვო, ამ გვარი ეკკლესიების კარები მუდამ გამოკლეტილებია და მღვდელი, რომელიც მახლობლად სცხოვრობს, აღებს მას მხოლოდ წირვა-ლოცვის დროს და ან როდესაც ასაფლავებს ვისმე. ეკკლესიის ზემოთ გაკეთებულია პატარა ოთახი, სადაც ჰკიდებენ ზარას, თუ კი აქვსთ იგი; მაგრამ უმეტეს ნაწილად ეკკლესიებში ზარები არ არის და მის მაგიერ ხმარობენ ოთხი ფუტის სიფართოე ძრიელ თხელ ფიცარს, რომელსაც არახუნებენ ხალხის ეკკლესიაში მოსაწოდებლად. ხატებს, რომელნიც ეკკლესიაში ასვენია, სწირამენ ირმის რქებს, ტახის ყბებს, ხოხბის ფრთებს, შვ-ლდებს, კაპარჭებს, და ეს მისთვის, რომ ხატები მწე ეყვნენ მათ ნადირობაში. შუა ეკკლესიაში სძევს ორი გვირგვინი, გაკეთებული წითელი ან თეთრი აბრეშუმის ზონრებისაგან და შემკული ფოჩებით; მათ ჯვარის წერის დროს ხმარობენ, როგორც შემდეგ შევიტყობთ ამას. აქვე, კედლის პირ-და-პირ, ჰკიდია კოლოფი, რომელშიაც მირონი არის შენახული. ეკკლესიაში არის აგრეთვე უხეირო დაფლეთილი დროშა, რომელსაც პროცესიების დროს ხმარობენ, და კიდევ სპილენძის ერთი ძრიელ გრძელი, ჩვენ საყვირებზედ უგრძესი, ბუკი, რომელსაც უკრავენ პროცესის დაწყების წინ ხალხის შესაგროებლად ეკკლესიაში. ამ ბუკს საკმაოდ მაღალი ხმა აქვს, თუმცა არა სასიამოვნო. ებრაელების საყვირს მოგვაგონებს: „და ეტყოდა უფალი მოსეს და რქვა: ჰქმენ თავისა შენისა ორი ნესტვანი ჭედილნი ვეცხლისანი, და იყვნენ შენდა მოწოდებაი კრებულისა დატრვად ბანაკისა დატევარვად; და დაჰბეროს მითა და შემოკრბეს ყოველი კრებული კარად კარვისა საწამებელისა» (რიც. თ. X). გარდა ამისა ამ ეკკლესიებში არის მტვერისაგან და თაგვებისაგან დაღრღნილი დიდრონი წიგნები; ესენი საეკკლესიო წიგნებია. მრცხვენიან ვსთქვა, თუ რა მცირედ ზრუნავენ პაპები ხატებზედ: ჩრჩილი, მატლი, თაგვი — ყველაფერი სცოდავად ახდენს მათ. ზოგიერთ ხატებზედ კი ზრუნავენ და ამკობენ მათ, როგორც ზემოთაცა ვსთქვით, ფარჩით და თვალ-მარგალიტით. მათი ეკკლესიების იატაკი ხან-დი-სხან თავლაზედ სუფთა არ არის. დაფარნები სულ დაფლეთილი და ღვინით დაწუნწკლულებია, რადგან ხან-დის-ხან იმაებით ასუფთავებენ ბარძიმ-ფეშხუმს. ერთ კუთხეში ჰკიდია სხვილი და ცუდად ნაქსოვი ტრაპეზის გარდასაფარებელი, მეორე კუთხეში სდგას ღვინის ჭურჭელი. ტრაპეზი ეკკლესიის შუაზე არის გაკეთებული, იგი მრგვალია და ქვის ფეხზედ სდგას. ტრაპეზზედ აწყვია ჭუჭყიანი და ბარძიმ-ფეშხუმის გასასუფთავებელი ხის თასი, რომელიც ზიზღს მოჰგვრის კაცს, და რომელსაც ბარძიმად ხმარობენ. პატარა ფიცარი, რომელსაც ფეშხუმად ხმარობენ, და რამელიმე ძველ ნაგლეჯებს და ფარნების მაგივრად. ტრაპეზის შუაზედ ასვენია პატარა ხატი, რომლის წინ სწირავენ იგინი. არასოდეს არა სწირამენ ისე, რომ ხელში საცეცხლური არ ეჭიროთ. საცეცხლური რკინისა აქვსთ. ეკკლესიის სხვა სამკაულებზე აღარას ვიტყვი, რომ მკითხველს თავი არ მოვაწყინო. უნდა კი შევნიშნოთ, რომ ყველა ეს პაპების ეკკლესიებს შეეხება.

საეპისკოპოსო ეკკლესიები არიან ნაშენნი რბილი და მარმარილოსავით თეთრი ქვით, რომელიც სხვა-და-სხვა გვარად არიან ნათალნი. გარედგან აქვსთ მათ იმავე გვარად ნაშენი სტოვები, რომელნიც არიან შემკულნი მხატვრობით და ქართული წარწერებით. ასეთი ეკკლესიები შიგნით ძრიელ სუფთად და წმიდად არიან დაცულნი. სტოვებში დახატულია ცხოვრება უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესი და ბერძენთ წმიდანების ხატები. საეკკლესიო წიგნები კარგად ნაწერნი და კარგად ყდებში გაკეთებულნი არიან, რომ მტვერმა არ წაახდინოს იგინი; წიგნები მოჭედილებია, აქვსთ ბალთები და შემკულნი არიან ვეცხლის სხვა-და-სხვა ფიგურებით. ხატები თითქმის კაცის სიდიდე ჩარჩოებში სხედან; ჩარჩოები ზოგი ვეცხლისაა, ზოგი სპილენძისა... ამ ეკკლესიებში ასვენია აგრეთვე სხვა ხატებიც, რომელთაც ჩვეულებრივი პატარა ჩარჩოები აქვსთ; მათზედ დახატულნი არიან: ქალწული მარიამი და წ. გიორგი, რომელთაც დიდ პატივს სცემენ იგინი. საშუალ ეკკლესიისა ჰკიდია სპილენძის მრავალ სანთლებიანი ხომლი; სდგას აგრეთვე რამდენიმე დიდი შანდალი. ტრაპეზი შემკულია ძრიელ სუფთა და ფართო ფარნებით და ვეცხლის ბარძიმით. ღმერთმა ჰქნას, რომ ეპისკოპოზნი ისე ზრუნავდნენ თავიანთ სამწყსოზედ, როგორც თავიანთ ეკკლესიებზედ ზრუნავენ! ამ ეკკლესიებს

ეროვნული ბიბლიოთეკა

აქვსთ სამრეკლოები, რომლებზედაც კარგი ზარები ჰკიდია. ეს ეკკლესიები ძრიელ ძველნი არიან, რასაც აჩვენებს სისქე ქვით-კირის კედლებისა და მათი არხიტექტურა. ზარნა ეხლა აღარ აგებენ ამ მშვენიერი არხიტექტურის ეკკლესიებს და აღარც ქვით-კირისას აშენებენ. მათ ნაცვლად უბრალო ხის ეკკლესიებს-ღა აკეთებენ დღეს.

ვ. ზარნოვი.

## ცერემონია

ერეკლე მეფის დასაფლავებისა.

წელსა განხორციელებიდგან სიტყვისა ღმრთისა ჩღჟჱ (1788), თთუესა იანვარსა, რიცხვსა ია, დღესა ორ შაბათსა, ჟამსა განთიადისასა მიცვალება სანატრელისა, დიდებულისა და მემკვიდრისა სრულიად საქართველოჲსა და სხვათა და სხვათა მპყრობელისა მეფისა ირაკლი მეორისა, ძისა ცხებულის მეფის თეიმურაზისა, კახეთის სამეფოსა შინა ქალაქსა თელავს, სამეფოსა პალატასა შინა.

რომლისა საუკუნო იყავნ სუფევაჲ ნეტარება. ქართულსა ქორონიკონსა ზედა უპვ.

მისის უმაღლესობის, სრულიად ზემოჲსა საქართველოჲს მპყრობელის, მეფის ირაკლი მეორის ცხედარს ამ კანონით და ცერემონიით უნდა შეუდგნენ სამეფო სამხედრო ხარისხი და სამღვდელო დასი.

ესე უკვე ცერემონია, ქმნილი და დაწერილი, მოგონილი და გაკეთებული არს მისის მაღალ-კეთილ შობილების, ალექსის ძის სიბრძნის მოყვარის და სრულიად კახეთის სამეფოს თელავის ქალაქის სემინარიის რეკტორის დავითის მიერ.

ბოლოდამ დაწყების ტირილი და გლოვა პირველად.

წინ თოფხანა ზარბაზნები, თავისის ყუთებით, თავისის დროშით და თავის ამალით გაწყობილნი, აგრეთვე ბალაბანჩიკები და სალამურთა დამკვრელნი წეს დგომით. წინ აფიცრები, უფროსნი თავის და უმცროსნი ბოლოს, ხმალ ამოღებულნი და ქვე ხმალ დაშვებულნი, ბალაბანჩიკები და სალამურთა მხმობელნი უნდა უკრავდენ საგოდებელისა და სალმობიერის ხმითა, და ამათ ერთი თოფხანის დროშა წინ უძღოდეს. პირველად მოვიდეს თოფხანის გამგებელი თოფხანაშა სამეფოს (დროშასთან) ცხედართან, მესაკრავენი მოჰყვნენ ბალაბანკა მდაბლად დაჰკრან, უკანასკნელი პატივი მისცენ, ცრემლით იტირონ, გაბრუნდნენ და თავის განწესებულს ადგილს დადგნენ. მოზარენი მოსვლასა ზედა ორ ხორად წინ უძღოდენ, და მათ წინ მოუძღოდეს შავით მოსილი ცერემონ-მეისტერი ალექსის ძე დავით.

შემდგომად ამისა მოვიდნენ მეწინავე სარდრები, ორბელიანი და ქისიყის მოურავი, ორნივე სწორად, თავისის სამხედროთი, თვისნი დროშანი მოუძღოდესთ, წინ დროშასთან ორ ხორად უძღოდენ მოზარენი და მათს წინ ცერემონ-მეისტერი; მეფის ცხედართან იტირონ, თავი მოუდრიკონ დროშათა; და თვითცა სარდართა თავი მოიხარონ თავ შიშველთა, გაბრუნდენ და თავისსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ.

შემდგომად ამისა მოვიდნენ ქართლისა და კახეთისა მემარჯვენე სარდრები, ორნივე თანასწორად თავის სამხედროს დასით, წინ თავისნი დროშანი მოუძღოდენ, ამათ წინ ორ-ხორად მოზარენი მგალობელნი, და ამათს წინ ცერემონ მეისტერი წინა უძღოდეს, მოვიდნენ ცხედართან, მდაბლისა ხმითა ცრემლით იტირონ, თვითცა და თვისთა დროშათაცა ცხედარს თავი მოუხარონ, წარვიდნენ და თვისსა განწესებულსა ადგილსა დადგნენ, თვისთა გუნდთა და სამხედროთა თანა.

შემდგომად ამისა ქართლისა და კახეთისა მემარცხნე სარდრები მოვიდნენ, ორნივე თანასწორად, თვისთა სამხედროსა გუნდითა, წინ თვისნი დროშანი მოუძღოდენ, მათ წინ ორნივე ხორონი მოზარენი და ამათს წინ ცერემონ მეისტერი, სამეფოს ცხედართან მოვიდენ, მდაბლის ხმათ ცრემლით იტირონ თავ-შიშველთა, თვითცა თავი მოუხარონ ცხედარსა და დროშათაცა, საუკუნო ამბორი მისცენ. წარვიდნენ და თვისსა განწესებულსა ადგილსა მდგომარე იყვნენ თვისის სამხედროს გუნდით.

შემდგომად ამისა ცხენი ორი, სწორედ შეკაზმული, ორს ჯილავდარს ეჭიროს, მხარზედ ზიმფუშები დაკეცით ეკიდოსთ, ორნი მილახორნი მაუძღოდესთ წინ თავ შიშველნი და საყელო შეხსნილნი, ცხენნი შეკაზმულნი, ერთს ტახტაზედ ეკიდოს სამამაცო საჭურველნი, სამკლავები, და მეორეს ცხენის ტახტას მუზარადნი და სხვანი იარაღნი.

შემდგომად მოვიდნენ მეაბჯრენი, ესე იგი ჯაბადარნი, ხელთა აქვნდესთ მშვილდ-ისარნი და კაპარჭნი, და ეგრეთვე შუბნი, იყვნენ თავ-შიშველნი, საყელო ჩამოხსნით და გოდებით მტირალნი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამასთან ხელ-ჯოხიანები წეს დგომით თავ-მიშვლნი, საყელო ჩამოხსნილნი და ხელთა შემუსვრილისა ჯოხისა მქონებელნი.

ამასთან ბოქაულთ-ხუცესნი წეს დგომით თავ-მიშვლნი, საყელო ჩამოხსნილნი და ხელთა შემუსრვილისა ჯოხისა მქონენი

ამასთან ნაზირნი, პირველნი მარჯვენით და მეორენი მარცხენით, თავ-მიშვლნი, საყელო ჩამოხსნით.

ამასთან ლაშქარ-ნივისნი პირველნი მარჯვენით და მეორენი მარცხენით, თავ-მიშველნი, საყელო ჩამოხსნით.

ამასთან მოლარეთ-უხუცესნი და მოლარენი სალაროს მწერალნი და ფეშქაშ-ნივისნი, მარჯვენივ და მარცხნივ განყოფით, მოლარეთ უხუცესთა ხელთა აქვნდესთ ფოდნოსნი და ფადნოსთა ზედა მდებარენი კლიტენი სალაროთანი, ესენიც თავ-მიშველ, მკერდ-ღიანი.

ამასთან მდივნები, მარჯვენით პირველნი, ხოლო მარცხენით მეორენი, ხელთა საწერლისა მქონებელნი და კალამ შემუსვრილნი, თავ-მიშველი და საყელო ჩამოხსნილნი ცრემლ-დენით.

შემდგომად მდივან-ბეგნი და მსაჯულნი ქართლისა და კახეთისანი, პირველნი მარჯვენით და მეორენი მარცხენით. ამათსა წინ ახლოს უმდოდესთ მდივან-მეგთა— მწერალი პირველი, ეპყრას ვეცხლის პოდნოსი, ფოდნოსსა ზედა ბალიში ფარჩისა და მას ზედა მდებარე იყოს წიგნი სამართლისა. („ივერია“).

(შემდეგი იქნება).

---

# პალესტინა

## სამშობლო-ქრისტესი, ოკრიბი და სივრცე.

(გაგრძელება *).

რაც შეეხება გალილეიაში მცხოვრებ ხალხთა რიცხვს ამაზე ფლავი შემდეგს მოგვითხრობს: „არც ერთი კუთხე ამა ქვეყნისა არ შეიძლება უდაბნოდ ჩაითვალოს; ეს ქვეყანა მთლად მოფენილია ქალაქებით და სოფლებით, რომელნიც მჭიდროდ არიან დასახლებულნი, ასე რომ თვით პატარა სოფელიც 15,000 კომლს შეიცავს.“ მართალია, ფლავი ასე ამბობს, მაგრამ რადგან ის ყველაფერს უმატებს, ამიტომ არ შეიძლება დავერწმუნოთ მისგან მოყვანილ რიცხვსა. სოფლის მაგიერ რომ მთელი მაზრა ანუ საზოგადოებაც ვიგულისხმოთ, მაშინაც არ შეიძლება სთქვას კაცმა, რომ თითო მაზრაში 15,000 მცხოვრები იქნებოდა. ასე რომ ვიანგარიშოთ, მაშინ მთელ გალილეიაში სამ მილიონზე მეტი მცხოვრები უნდა ყოფილიყო. მაგრამ მთელ გალილეიას ეკავა 90-100 ოთხ-კუთხი მილი (მილს აქვს შვიდი ვერსტი), თვითეულ ოთხ-კუთხ მილს მოუწევდა 30 ათასი მცხოვრები, რომელიც შესაძლო არ არის. ფლავის სიტყვებიდამ მხოლოდ ის უნდა ვიგულისხმოთ, რომ გალილეია მეტად მჭიდროდ იყო დასახლებული.

იოსებ ფლავი მოგვითხრობს, რომ გალილეიაში 204 სოფელი და 15 გამაგრებული ქალაქი იყოვო. შეიძლება ეს ნამდვილი იყოს, მაგრამ ქალაქებიც და სოფლებიც მაშინ ძალიან პატარაები იყვნენ. გალილეია გაყოფილი იყო ორ ნაწილად. პირველი ნაწილი მდებარეობდა ჩრდილოეთით და დაფარული იყო მთებით; მეორე—მდებარეობდა სამხრეთით და წარმოადგენდა ვაკე ადგილს. ჩვენ მოკლეთ ავსწერთ იმ ადგილებს, რომლებიც მოხსენებულნი არიან ახალ აღთქმაში და განსაკუთრებით მათ, რომლებშიდაც სცხოვრებდა და მოქმედებდა იესო ქრისტე.

დავასახელებთ პირველად სოფელ ნაზარეთს, რომელშიაც იესო ქრისტე აღიზარდა. დღეს მხოლოდ ამ ადგილს შერჩენია თავისი უწინდელი სახე. მართალია, დღეს აქ არის აგებული ორიოდე შენობა, რომელნიც დამშვენების მაგიერ, ამახინჯებენ ამ სოფელს, თორემ ეს ადგილი იმავ მდგომარეობაში არის, რა მდგომარეობაშიაც იყო ის იესო ქრისტის დროს. იერუსალიმი კი ისე გამოცვლილია, რომ დღეს იქ ძნელად გაარჩევს კაცი წინანდელს ადგილებს. ნაზარეთში დღესაც დაცულია წყარო, რომლიდგანაც ქალწული მარიამი ზიდავდა ხოლმე წყალს ოჯახისთვის. აქვე არის ის გორაკი, რომელიც დასჩერებია ზემოდამ მთელს სოფელს და რომლიდგანაც ამ ადგილის მცხოვრებთ უნდოდათ გადაეგდოთ ერთხელ იესო ქრისტე. აქვე არიან ქუჩები, რომელნიც, რასაკვირველია, შეუცვლელად დარჩენილან და რომლებზედაც თამაშობდა იესო პატარაობისას. აქ ვერ ნახავთ ერთ ტკაველ ადგილს, რომელზედაც არ გაევლოს იესო ქრისტეს; არ არის ისეთი გორაკი, რომელზედაც არ ასულიყოს მაცხოვარი და არ ელოცოს. თუმცა ფლავი მოგვითხრობს, რომ გალილეია-

*) იხ. „მწყემსი“ № 11, 1887 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძლიან ჭიდროდ იყო დასახლებული, მაგრამ ისიც დიდია, თუ ამ მხარეში პირველ საუკუნეში სცხოვრობდა სამი ანუ ოთხი ათასი სული. თვით იოსებ ფლავი არასფერს არ ამბობს ამ სოფელზე. ტალმუდიც არ იხსენიებს ამ სოფელს; ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან იერუსალიმის მკვიდრნი კარგად არ უყურებდნენ გალილეველთა, განსაკუთრებით ნაზარეთლებს. ისინი ხშირად ამბობდნენ: «განა ნაზარეთიდამ კარგი გამოვა რამე?“ რომაელების ჯარი არ მდგარა ნაზარეთში. რადგან ნაზარეთი მდებარეობდა მთებ შუა, იერუსალიმიდამ ას ვერსტზე იყო დაშორებული და კაპერნაუმიდამ რვა ანუ ათი საათის სასიარულო მანძილზე იყო, ამიტომ ეს მშვენიერი სოფელი შეუნიშნავი დარჩენილა.

ვიტყვით ორიოდე სიტყვას ნაიმზე (ანუ ნაინ), რომელიც მოხსენებულია ერთ ადგილს სახარებაში (ლუკ. 7, 11) და რომელიც მდებარეობდა ეზდრელონის და ქანის (იოან. თავ. 2)—დღეს კეფერ-კანა, ნაზარეთიდამ ჩრდილოეთით და მოუთხრობთ მკითხველს რამდენიმე ცნობებს ტივერიადის ქალაქზე. ტივერიადა (დღეს ტაბარიია) რომაელებმა შემდეგში განაახლეს თავის გემოვნებაზე, რადგან ეს ადგილი იყო საცხოვრებელი ანტიპასი. აქ დასახლებულ იქმნენ მთლად უცხო თემის ხალხი, რომელიც კერპთთაყვანის მცემელი იყო. იუდეველები, და განსაკუთრებით მათი რაბინები და ღვთის მოშიში პირნი ერიდებოდნენ ამ ქალაქში შესვლას და ამიტომ შესაძლებელია, რომ იესოც ამიტომ არ ყოფილა აქ. ეს ადგილი ისე იყო გამშვენებული ანტიპასაგან, რომ უნებლიეთ იზიდავდა ყველას. ეს ქალაქი კაპერნაუმიდამ თექვსმეტ ვერსტზე იყო დაშორებული გალილეიას და სატახტო ქალაქად ითვლებოდა. ტივერიადა სახარებაში სამჯერ არის მოხსენებული (ი. თ. 6, სტ. და 1). ქალაქი ტივერიადა სძევს ტივერიის ნაპირზე, მახლობლად იმა ადგილისა, სადაც გამოდინარეობს ამ ტბიდამ იორდანე, რომელიც ერთვის მეწამულ ზღვას. აქვე იყო გაკეთებული ხიდი იორდანეზე. იყო კიდევ მეორე ხიდი იაკობისა, სამოხინიტის და ტივერიადის ტბებ შუა. ეს იაკობის ხიდი შეადგენს გზის ნაწილს იერუსალიმიდამ დამასკამდის. სხვა ადგილებში ტბაზე გადი-გამოდიან ნავებით. ტბის დასავლეთის მხრით არის გენისარეთი. ამის შესავალში არის ერთი ღარიბი სოფელი სახელად მედჯილიე და შეიძლება ვიფიქროთ, რომ ეს სოფელი არის გაშენებული იმ ადგილას, სადაც სცხოვრებდა მარიამ მაგდალინელი.

თუ ტბის ნაპირებს შევყვებით ზემოთ, ჩრდილოეთით მივადგებით ქაპერნაუმს, რომელიც შუა ადგილს წარმოადგენს. აქ სცხოვრებდა და ჰქადაგებდა იესო ქრისტე. აქიდგან მაცხოვარი გაემგზავრებოდა ხოლმე საქადაგებლად სხვა ადგილებში და შემდეგ ისევ ბრუნდებოდა ქაპერნაუმში. უმეტესად იესო ქრისტე თავის ქვეყნად მყოფობის დროს მოქმედებდა ვიფსაიდაში და ხორაზინში, მაგრამ დღეს ამ ქალაქების კვალი მთლად გამქრალია.

ქაპერნაუმი მდებარეობდა ქესარიიდგან, ნაიმიდგან, ტირიიდგან, სიდონიიდგან და გადარიდგან შუაგულ ადგილს. აქიდამ ნახევარი საათის სასიარულოა იორდანეს სათავემდის. ასეთი მდებარეობა ქაპერნაუმისა აძლევდა მას დიდ მნიშვნელობას. რადგან ეს ქალაქი მდებარეობდა იმ დიდი გზის პირას, რომელიც მიდიოდა ეგვიპტიდამ სირიაში, ამიტომ აქ იყო უმთავრესი კანტორა, სადაც იკრიბებოდა ბაჟი. (მათ. (მათ. 9, 9). ტელ-ხუმში დღესაც არის ურიების სამლოცველოს ნაშთები. მაგრამ ეს ნაშთები უფრო შემდეგი დროისა არიან და ამიტომ შეიძლება ვსთქვათ, რომ ეს სამლოცველო აშენებულა პირველი საუკუნის შემდეგ.

ტივერიადის ტბას აქვს სიგრძე 20-24 ვერსამდის, ხოლო სიგანე 12-16. ალაგ ტბა ისეთი განიერი იყო, რომ მოციქულების ნავი ერთი ნაპირიდგან მეორე ნაპირზე გასვლას უნდებოდა ორი საათი. ამ ტბის ნაპირებზე თუმც დღეს ერთი მცენარეც არ მოიპოვება, მაგრამ პირველ საუკუნეში ეს ადგილი დაფარული ყოფილა მცენარეებით. ტივერიადის ტბა ისე დიდია, რომ შეიძლება მას პატარა ზღვა დავარქვათ. ამ ტბაში როგორც უწინ, ისე დღესაც ბევრი თევზია.

ტივერიადის ტბის ნაპირებზე აპრილში და ივლისში ისეთი სიცხეები იცის, რომ კაცს სულის მოთქმა უჭირს. აქ ბევრია პატარა მწერები, რომლებიც მეტად აწუხებენ მოგზაურს. იოსებ ფლავი ამტკიცებს, რომ პირველ საუკუნეში ამ ტბის ნაპირზე მშვენიერი ადგილი იყოვო. ეს შესაძლებელია, რადგან აქ უწინ ტყეები იყო და ამიტომ წვიმაც ალბად ხშირად მოდიოდა ხოლმე.

## ახალი ამბები და შენიშვნები.

წარსული წლის დამლევს პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა ბ. ა. ცაგარელმა გამოსცა ერთი წიგნი სახელად СВѢДѢНІЯ О ПОМЯТНИКАХЪ Грузинской письменности (ცნობანი საქართველოს მწერლობის ნაშთებზე). წიგნი ღირს მანეთ ნახევარი და ისყიდება ტფილისში. მსურველთ შეუძლიანთ ამ წიგნის მოპოვება ჩვენ რედაქციაშიდაც. ამ წიგნიდამ ჩვენ გადმოვბეჭდავთ ჩვენს გაზეთ „მწყემს“-ში იმ ადგილებს, რომელნიც უფრო საყურადღებონი არიან.

***

ჩვენ შევიტყუეთ, რომ მომავალი თვის ივნისის 15 იმერეთის სამღვდელოებას კრება ექნება ქ. ქუთაისში. ამ კრებაზე სამღვდელოებამ უნდა გამონახოს საშუალება ტფილისის სემინარიის მესამე კლასთან პარალელური განყოფილების გასახსნელად და შესანახავად. ამ განყოფილებას სჭირდება წელიწადში 1500 მანეთი. ეს 1500 მანეთი ეთხოვებათ წელიწადში მარტო იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებას. ქართლის და კახეთის სამღვდელოება თავისუფალი არიან ამ გარდასახადისაგან. ჩვენის ფიქრით საჭიროა, რომ ვლადიკავკაზის და აფხაზეთის ეპარქიების სამღვდელოებამაც იმერეთის და გურია-სამეგრელოს სამღვდელოებასთან ერთად მონაწილეობა მიიღოს ამ გადასახადში, რადგან მათი შვილებიც იზრდებიან ტფილისის სასულიერო სემინარიაში. ეს კითხვა, საჭიროა დადგინდეს სემინარიის სამმართველოს მოთხოვნილებისა მებრ.

***

უმაღლესი სასულიერო მთავრობის განკარგულებით ქუთაისის სასულიერო სასწავლებლის მასწავლებელი, ღვთის მეტყველების კანდიდატი, ვიქტორ ს. იაკუბოვიჩი გადაყვანილ იქმნა მინგრელიის სასულიერო სასწავლებელში რუსული ენის მასწავლებლად. დიდი ხანი არ არის, რაც ბ. იაკუბოვიჩი მსახურებს ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ მან ამ ცოტა ხნის განმავლობაშიაც დაიმსახურა თავის თანა-მოსამსახურეების და მოსწავლე ახალ-გაზრდობის სიყვარული თავისი მშვენიერი ხასიათით. ბ. იაკუბოვიჩის ადგილზე გადმოყვანილ იქმნა სამეგრელოს სასწავლებლიდამ სემინარიაში კურს შესრულებული ივანე პ. ოზბოლენსკი.

***

გაზეთ „ივერია“-ს სწერენ თელავიდგან, რომ სამშიანში, იქაური ეკკლესიის გალავანში წინეთ სასაფლაო ყოფილა, მაგრამ მღვდელს თავის მეცადინეობით ეს სასაფლაო სოფლის გარედ გადაუტანია. ძველი სასაფლაო შემოულობია, უხარებია შიგ ხეხილი და ახლა ბევრი მათგანი მსხმოიარე ხეებად გადაქცეულა თურმე.

ნეტავი ამ სულიერი მოძღვრის საქციელს მიბაძავდენ ზოგიერთი ჩვენი სოფლების და ქალაქის მღვდლებიც. ჩვენში დღეს ბევრგან სასაფლაოები შიგ შუაგულ მცხოვრებლებში არიან გაკეთებულნი და ზოგიერთი ეს სასაფლაოები ისე არიან ავსილნი მიცვალებულებით, რომ ადგილიც აღარ არის ახალი მიცვალებულის დასამარხად, მაგრამ ახალ სასაფლაოების გაკეთებაზე ხმას არავინ იღებს.

***

იქიდამვე სწერენ „ივერია-“ს, რომ იმავე სოფელში ამ მხნე და პატიოსან მღვდელს სამრევლო სკოლა დაუარსებია. მსურველნი წერა-კითხვის სწავლისა ბევრი აღმოჩენილან, მაგრამ ხეირიანი შენობის უმექონელობისა გამო, მხოლოდ 25 მოწაფე სწავლობს თურმე თვით მღვდლის სახლში, რომელიც ორი ოთახიდგან შესდგება. ერთ ოთახში ამ მოძღვარს სკოლა გაუმართავს და მეორეში თავის ცოლშვილით სცხოვრობს. სკოლას თურმე არავითარი მოწყობილება არ გააჩნია და მოსწავლეებსაც სასწავლო ნივთების უმექონლობა უჭირებს საქმესა. შემდეგ გაზეთი დასძენს: «ფრიად საჭიროა, რომ მიაქციოს ამ გარემოებას ყურადღება, ვისიც ჯერ არს და ან სასკოლო სახლებზე იზრუნოს და ან სკოლის მოწყობილობაზეო.»

***

როგორც წინეთაც ვაცნობეთ ჩვენს მკითხველებს, საქართველოს ექსარხოსის ვიკარს, გორის ეპისკოპოზს ალექსანდრეს შეუსრულდა ოცდა ხუთი წელიწადი სამს მარტს ამა წლისას, რაც მათი ყოვლად-სამღვდელოესობა ეპისკოპოზის ხარისხით ემსახურება ეკკლესიას და მამულს. მაგრამ რადგან ყოვლად სამღვდელოს ოცდა ხუთი წლის იუბილეის დღესასწაულის დღე ბევრმა არ იცოდა, ამიტომ ღირსეულად არ იქმნა დაფასებული პატივცემული მოღვაწე, რომელიც თავის ძალას და შეძლებას ახმარებს კეთილ საქმეს. ეხლა, როგორც სწერს გაზეთი „ივერია“, ყოვლად სამღვდელო ალექსანდრეს სახელობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეადგება ადრესი მთელის ქართველის საზოგადოებისაგან და ამ დღეებში გაეგზავნება თურმე მათს მეუფებას.

***

გორის სასულიერო სასწავლებელს თავის საკუთარი შენობა არა აქვს და ვერც ქირით შოობენ შესაფერ შენობას სასწავლებლისათვის. ამიტომ სამღვდელოებამ გადადვა სასწავლებლისათვის შესაფერი შენობის აღსაშენებლად 68,194 მ. და 20 კ.; მაგრამ სასწავლებლის აშენების საქმე იმ ფასად, რაც დანიშნული იყო, არავინ ითავა, თუმცა ვაჭრობა ბევრჯელ იყო დანიშნული. ამიტომ სამღვდელოებას ან უნდა მოემატებია კიდევ ფული და ან მზა შენობა უნდა ეყიდა სასწავლებლისათვის. ამ საგნის შესახებ კრება ჰქონდა გორის სამოსწავლო ოლქის სამღვდელოებას 30 აპრილს. სამღვდელოების კრებას სასწავლებლის სამმართველომ დაუსახელა ერთი სახლი, რომელიც სასწავლებლისათვის გამოდგებოდა, მაგრამ სამღვდელოებამ ეს სახლი დაიწუნა და სასწავლებლის საქმე ისევ უწინდელ მდგომარეობაში დასტოვა; ე. ი. სასწავლებელი უნდა დარჩეს ისევ იმ ძველ სახლებში, რომელშიაც დღეს ათას მანეთამდის ქირას იხდიან წელიწადში.

***

მაისის 2 სოფელს სკანდას, თავის მშობლების სახლში გარდაიცვალა თბილისის სასულიერო სემინარიის პირველი კლასის მოწაფე გვარად ჯულელი. ამ ყმაწვილმა წარსულს წელში მშვენივრად შეასრულა კურსი ქუთაისის სასულიერო სასწავლებელში და გაგზავნილ იქმნა სემინარიაში. აქ სწავლის დროს გაცივებულა საწყალი. მშობლებს მიუღიათ ყოველივე ზომა. თბილისიდგან ავად-მყოფი ჩამოუყვანიათ სოფელში. მაგრამ რადგან სოფელში ხეირიანი ექიმები ძნელი საშოვარია, ამიტომ ავად-მყოფი მშობლებმა ქუთაისში ჩამოიყვანეს. მოუწოდეს საუკეთესო ექიმებს ავად-მყოფისათვის, მაგრამ ექიმებმა ერთი თვის სიარულის და წამლობის შემდეგ ხელი აიღეს ავად-მყოფზე. ამიტომ საწყალმა მშობლებმა თავისი შვილი ისევ სოფლად წაიყვანეს, სადაც კიდეც გარდაიცვალა. როგორც გვითხრეს განსვენებული ავად-მყოფობის დროსაც კი არ იღებდა ხელს მეცადინეობაზე, თუმც მშობლები და ექიმებიც უკრძალავდნენ მას მეცადინობას და წიგნების კითხვას. განსვენებული ერთად-ერთი მსხვერპლი არ არის თბილისის ჰაერისა, რომელსაც ზოგიერთი ჩვენი იმერელი მოსწავლე ყმაწვილები ვერ ეთვისებიან.

უკანასკნელი დღეების ზოგიერთი საინტერესო

# ტელეგრამმები.

9 მაისს

პეტერბურგი. ვორონეჟზე გზად გავლის დროს მათ უდიდებულესობათ თაყვანი სცეს წმ. მიტროფანეს ნაწილებს; ხელმწიფე იმპერატორმა ჯარები დაათვალიერა, დაათვალიერეს აგრეთვე კადეტის კორპუსი და შემდეგ რკინის გზის სადგურზე მიბრძანდენ.

უმაღლესად ნაბრძანებისამებრ 28 მარტს 1887 წ. პირველ მარტს მომხდარ ბოროტ-მოქმედების საქმე, როცა სიკვდილი განიზრახეს ხელმწიფე იმპერატორისა, მიენდო გამოსაძიებლად განსაკუთრებით ამ საქმისათვის დანიშნულს მსაჯულთ-სენატორთა. გამოძიებას უნდა დასწრებოდნენ ყველა წოდებათა წარმომადგენელნი. გამოძიებისა და გამოკვლევის დროს აღმოჩნდა: 1) რომ პეტერბურგის უნივერსიტეტში სტუდენტებად ნამყოფთ: სო. პოტემკინის დონის ჯარის ყაზახს ვასილი გენერალოვს, სახელმწიფო გლეხს ყუბანის ოლქისას სოფ. მედვესკისას პახომი ანდრეუშკინს, მოქალაქე ქ. ტომსკისას ვასილი ოსიპანოვს, ნადვორნი სოვეტნიკის შვილს მიხეილ კანჩერს, აზნაურს პეტრე გორკუნს, ვაჭრის შვილს პეტრე შევირევს, დეისტვიტელნი სტატსკი სოვეტნიკის შვილს ალექსანდრე ულიანოვს, აზნაურს ბრონისლავ პილსუდსკის, აზნაურს იოსებ ლუკაშევიჩს, მოქალაქეს სტეფანე ვოლოხოვს, აზნაურს აფთიაქის შეგირდს ტიტ ფაშკოვსკის, დიაკვნის შვილს პეტერბურგის სასულიერო აკადემიის კანდიდატს მიხეილ ნოვორუსსკის, გლეხის ქალს ბებია მარიამ ანანიინისას და ხერსონის მოქალაქის ქალს რებეკა შმიდოვისას 1886 წელს დაუარსებიათ საიდუმლო დაფარული საზოგადოება და სდომებიათ დაერღვიათ ეხლანდელი სახელმწიფო და სამოქალაქო წეს-წყობილება; ამავე საზოგადოებას 1886 წელს დეკემბერში მოულაპარაკნიათ და განუზრახავთ მოკვლა ხელმწიფე იმპერატო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რისა. ამის გამო გენერალოვს, ანდრეუშკინს და ოსიპანოვს ასაფეთქი და სასროლი ყუმბარები აუღიათ და 1 მარტს 1887 წლისას გასულან ნევის პროსპექტზე იმ განზრახვით, რომ ხელმწიფე იმპერატორის გავლის დროს ეტლის ქვეშ შევაგდოთ ეს ყუმბარებიო; ამათთან ერთად ყოფილან კანჩერი, გარკუნი და ვოლოხოვი, რომელთაც მინდობილი ჰქონიათ, რომ პირველთათვის უნდა ენიშნებინათ და შეეტყობინებინათ ხელმწიფე იმპერატორის გავლის დრო. შუადღის დროს ეს ბოროტ მომქმედნი დაუჭერიათ პოლიციის მოხელეთ და ამიტომ თავისი განზრახვა ვერ შეუსრულებიათ; და 2) რომ მოქალაქის ქალს ანნა სერდიუკოვისას გაუგია ეს საბოროტმოქმედო განზრახვა ბოროტ-მომქმედთა ერთის წევრისაგან და არ შეუტყობინებია მთავრობისათვის. ამ საქმის გამრჩევ სასამართლოს 15-19 აპრილს 1887 წ. დაუნახავს, რომ ყველა ბრალდებულთ, სერდიუკოვის ქალის გარდა მე 241 და 243 მუხლში მოხსენებული დმნაშაულობა ჩაუდენიათ და სერდიუკოვის ქალს-კი მე-243 მუხლში მოხსენებულიო; შევირევი მეთაური და ხელ მძღვანელი ყოფილა ბოროტ-მომქმედთა; ოსიპანოვი, გენერალოვი, ანდრეუშკინი, ულიანოვი, კანჩერი, გარკუნი და ვოლოხოვი შეთქმულობის თანამონაწილენი და თანამოაზრენი ყოფილან, და ამათში ულიანოვს ყველაზედ დიდი მონაწილეობა მიუღია როგორც შეთქმულებაში, ისე საბოროტ-მომქმედოდ მზადებაში, ლუკაშევიჩი ნოვორუსსკია ანანიინისა, პილსუდსკი, პაშკოვსკი და შმიდოვისა თანაშემწენი ყოფილან,—და გარდაუწყვეტიათ, ჩამოერთვათ ყოველივე ღირსება და დაისაჯნენ ჩამოღრჩობით. ამასთან სასამართლოს მიუღია მხედველობაში შემამსუბუქებელნი გარემოებანი კანჩერისა, გარკუნისა და ვოლოხოვისა, ანანიინისა, პილსუდსკისა, შმიდოვისა და სერდიუკოვის ქალისა და დაუდგენია, რომ ამ უკანასკნელთა ბედის გადაწყვეტა განხილულ იქმნას უმაღლესად და შუამდგომელობა იქონიონ მის უდიდებულესობის წინაშე, რომ ამ გვარად შეემსუბუქოთ ამათ სიკვდილით დასჯაო: გარკუნი, განჩერი და ვოლოხოვისა და ანანიინსი ქალი გაიგზავნოს 20 წლით კატორგაში, პილსუდსკი—15 წლით, პაშკოვსკი—10 წლით, შმიდოვის ქალი გაიგზავნოს ციმბირის უშორეს ადგილებში და სერდიუკოვის ქალს ჩამოერთვას ყოველივე კერძო და საზოგადო ღირსებანი და დაპატიმრებულ იქმნას 2 წლით ციხეშიო. განაჩენის დადგენის შემდეგ 11 ბრალდებულმა თხოვნა შემოიტანეს პატიებისა და სასჯელის შემსუბუქებისა და მხოლოდ ლუკაშევიჩის, კანჩერის, გარკუნის და ვოლოხოვის თხოვნა იცნო სასამართლომ ყურადღების ღირსად. 30-აპრილს იუსტიციის მინისტრმა წარადგინა უმაღლესად გარდაწყვეტილება სასამართლოსი, რომ შვიდს აზნაურს: ულიანოვსა, გარკუნს, პილსუდსკის, ლუკაშევიჩს, კანჩერს და სასულიერო აკადემიის კანდიდატს ნოვორუსსკის ყოველივე უფლებანი აეხადოთო, და შეუმსუბუქდეთ სასჯელი ბრალდებულთ: კანჩერსა, გარკუნს, ვოლოხოვს, ანანიინისას, პილსუდსკის, პაშკოვსკის, შმიდოვისას და სერდიუკოვისაო. ამასთანავე მინისტრს წარუდგენია უმაღლესად ზოგიერთ ბრალდებულთა თხოვნა პატიებასა და სასჯელის შემსუბუქებაზედ. 30 აპრილსავე უმაღლესად ბრძანება გამოვიდა: აეხადოთ ყოველივე ღირსება ზემოხსენებულს შვიდს ბრალდებულს და სასჯელი შეუმსუბუქდეთ მარიამ ანანიინისას, ბრონისლავ პილსუდსკის, ტიტ პეშკოვსკის, რებეკა შმიდოვისას და ანნა სერდიუკოვისას ისე, როგორც სასამართლოს დაუნახავს საჭიროდ. ამასთან ხელმწიფე იმპერატორს უნებებია, რომ ბრალდებულ იოსებ ლუკაშევიჩს, მიხეილ ნოვორუსსკის, მიხეილ კანჩერს, პეტრე გარკინს და სტეფანე ვოლოხოვს სიკვდილით დასჯა შეეცვალოთ კატორგაში გაგზავნით და პირველი ორი სამუდამოდ, უვადოდ იქმნენ კატორგაში გაგზავნილნი, კანჩერი, გარკუნი და ვოლოხოვი კი ათ-ათის წლის ვადითაო. სასამართლოს გადაწყვეტილებისამებრ სიკვდილით დასასჯელნი ბრალდებულნი: გენერალოვი, ანდრეუშკინი; ოსიპანოვი, შევირევი და ულიანოვი 8 მაისს ჩამოუღრჩვიათ.

---

## მოძღვრება

სასარების ცხრა ნეტარებაზედ,

თქმული 15 თებერვალს ქაშვეთის ეკკლესიაში 1887.

### IV

„ნეტარ იყვნენ რომელთა შიოდეს და სწყუროდეს სიმართლისათვის, რამეთუ იგინი განაძღენ“ (მათ. 5, 6.).

ვინ არიან, ქრისტეს მორწმუნენო ერნო, რომელთა იგი შიათ და სწყურიათ სიმართლისათვის და რომელთაც მაცხოვარი ჩვენი ნეტარად უწოდებს და ჰპირდება, რომ იგინი განსძღებიანო!

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავიღოთ, ძმანო, მაგალითი ჩვენი სხეულიდგან: ჩვენი ცხოვრება მთლად დამოკიდებულია საზრდოზედ; ამ საზრდოთი იკვებება იგი, ამ საზრდოდგან იღებს იგი თავის ძალას და სიმტკიცეს. თუ ეს საზრდო მოგვაკლდა როდისმე, ჩვენ ვგრძნობთ სურვილს ჭამა-სმისას, ე. ი. ვგრძნობთ შიმშილს და წყურვილს, და თუ ეს შიმშილ-წყურვილი დიდ-ხანს არ დავაკმაყოფილეთ, ან ვაკმაყოფილებთ მცირედ, მაშინ სხეული ხდება და თან-და-თან სუსტდება, და, თუ საზრდოს მთლად მოვაკლებთ, ბოლოს შეიძლება სიკვდილიც გამოვიწვიოთ.

სწორეთ ამ ნაირსავე კანონს ემორჩილება ჩვენი სულიცა: სულს, მზგავსად სხეულისა, აქვს თავისი მოთხოვნილება იმისთანა საზრდოსი, რომელიც, რასაკვირველია, შეეფერება მის ბუნებას; თუ ეს საზრდო დააკლდა მას, იგი, მზგავსადვე სხეულისა, გრძნობს თავის გვარს შიმშილს და წყურვილს.

ჩვენ ყველამ ვიცით, ძმანო, რა საზრდო სჭირია ჩვენს სხეულს. მისი ხორციელი ბუნება ითხოვს მზგავსავე ხორციელს საზრდოს; იგი არის შექმნილი მიწიდგან და ამიტომ მიწიდგანვე იკვებება.

აბა ახლა გამოვიძიოთ, კეთილ მსახურნო მსმენელნო, რა საზრდოს თხოულობს ჩვენი სული და რომელმა საზრდომ უნდა დააკმაყოფილოს იგი; რა შიან და რა სწყურიან სულსა ჩვენსა?

საღმრთო განცხადება გვაუწყებს, მორწმუნენო, რომ შემომქმედმა დაბადა კაცი ხატად და მზგავსად თვისსა, შთაბერა რა მას სული თვისი ცხოველი; ღმერთმან მიანიჭა კაცს მიდრეკილება სიმართლისა, სიყვარულისა და კეთილისადმი, ე. ი. იმ სულიერთა თვისებათადმი, რომელთ ყოვლად უსრულესი წარმომადგენელი თვითონ არის. ამითი კაცი სრულიად დაკავშირდა თავის შემომქმედთან. ღვთაებრივი ხატება და მზგავსება კაცისა ბუნებითად მოითხოვდა, რათა კაცს ყოველი თავისი ცხოვრება მიემართნა თავის ყოვლად უსრულესი ხატისაკენ და იქიდგან მიეღო მაგალითი ყველა თავის საქციელისათვის; ღვთის მზგავსი არსება კაცისა უნებლიეთ მოითხოვდა სულიერ საზრდოს თავის უკვდავების წყაროდგან. მაგრამ კაცს რომ ჰქონოდა, ძმანო, მარტო ეს უნებლიეთი მიდრეკილება ღვთისადმი, იგი არ იქნებოდა სრული ქმნილება; ამისთვის ყოველ სახიერმან მეუფემან ყველა სისრულესთან კაცს მიანიჭა თავისუფლება, რომ მასს არა მარტო უნებლიეთ, არამედ თავისივე ნებით, თავის სურვილით, თავის ნებსითი სიყვარულისა გამო შემოქმედისადმი დაეცვა ბოლომდინ ეს სულიერი კავშირი, ეს სულიერი ზიარ-ყოფა ღმერთთან. მაგრამ კაცმან ბოროტად მოიხმარა, ქრისტიანენო, ეს თავის უფლება. მან ეშმაკის შთაგონებით მოინდომა ცხოვრება არა ისრე, როგორც მოითხოვდა მისი სულის ღვთაებრივი მზგავსება; იგი წავიდა წინაალმდეგ თავის შემოქმედისა; მან უარჰყო თავის ყოვლად უსრულესი ხატი, გასწყვიტა მასთან სულიერი კავშირი და შეუდგა იმ გზას, რომელიც უჩვენა ღვთის მგმობელმა ეშმაკმა. და ამ გზის უსჯულოებამ და უკულმართობამ კაცი თან-და-თან დააშორა ღმერთს და ბოლოს იქამდინ მიიყვანა, რომ მას მთლად დაუმახინჯა მისი ბუნება, დაუბნელა მას მისი ღვთაებრივი მზგავსება და დაუსუსტა პირველ დროითი მისი მიდრეკილება იმ უმაღლესთა თვისებათადმი, რომლებითაც იგი დააგვირგვინა ყოვლად სახიერმა მეუფემ. მაგრამ—დიდება გამოუთქმელსა სახიერებასა უფლისასა!—ბოროტმა ვერ აღმოფხვრა კეთილი, ეშმაკის საფრხემ ვერ დასძლია ყოვლად ძლიერის ქმნილება: ღვთაებრივი ნაპერწკალი სრულიად არ განჰქრა კაცში! მართალია ცოდვამან განაღვიძა კაცში უწმიდურნი და ბოროტნი თვისებანი, მაგრამ სრულიად ვერ მოჰკლა, ვერ აღმოფხვრა ღვთიურ მზგავსი მისი ბუნების მიდრეკილება კეთილისადმი; ხოლო ეს მიზეზი იყო იმისა, რომ, როდესაც კაცმა გამოსცადა ცხოვრება უღმერთოთ და იგემა ყოველი სიმწარე ახალი, ცოდვით სავსე ცხოვრებისა, იგი კვალად მოეგო თავს და დარწმუნდა, რომ „ახალი“ ცხოვრების საქმენი მისთვის, მისი ბუნებისათვის საწადელი კი არ არის,—საწამლავია; მას აღეძრა კვალად სურვილი პირველ შექმნის დროის სიწმინდისა და სიმართლისა. და სწყუროდა, რომ როგორმე გამართლებულ იყო, შერიგებულ იყო თავის გამჩენთან, მაგრამ აღარ შეეძლო თავის თავად დაეკმაყოფილებინა ეს შიმშილი. კაცმა შეიგნო საზარელი უფსკრული ღვთის წინააღმდეგი ცხოვრებისა და უარჰყო ეშმაკი და საქმენი მისნი! მაგრამ, ძმანო, გვიანღა მოეგო კაცი თავსა; მას თუმცა აღეძრა სურვილი, რომ კვალად მოეპოებინა პირველ დროითი მდგომარეობა და კავშირი ღმერთთან, მაგრამ ერთის მხრით, სინიდისი ამხილებდა მას,—მას ეშინოდა თავის შემოქმედის მართლ-მსაჯულებისა, რომლისა წინაშე იგი ისრე ხელ-მდაბლად და უმადურათ დამნაშავე იყო; მეორეს მხრით, თუმცა მას შიო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

შილი და წყურვილი;—აღარ შეეძლო იმიტომ, რომ ცოდვის გველს ღრმათ ჰქონდა მას ბუნებაში თავის მომწამლავი ფესვები გადგმული; „ვითარცა სახედ სწყურიან ირემსა წყაროთა მიმართ წყალთასა, ეგრეთვე სურდა სულსაცა მისსა ღვთისადმი; სწყუროდა სულსა მისსა ღვთისა მიმართ ძლიერისა და ცხოველისა“ (ფსალ. 41—1, 2.); მაგრამ მასთანავე გრძნობდა, რომ იგი ველარ ეღირსება მივიდეს და ეჩვენოს პირსა ღვთისასა (იქვე მუხ. 3), გრძნობდა მიტომ, რომ „უსჯულოებანი მისნი აღემატნეს თავსა მისსა და ტვირთი ცოდვათა საშინლად დაუმძიმდა მას;“ მას სურდა შინაგანით მით კაცითა დამორჩილებულიყო სჯულსა ღვთისასა, მაგრამ ხედავდა სხვასა სჯულსა ასოთა შინა თვისთა, რომელიც ეწინააღმდეგებოდა სჯულსა მას გონებისა მისისასა“ (რომაელ. 7-22 და 23). და ამიტომ „იმ კეთილს კი ველარ სჩადიოდა, რომელიც სურდა, არამედ შვრებოდა ისევ იმ ბოროტს, რომელიც იგი მას არ სურდა (იქვე მ. 14).

ამ ნაირად კაცის კეთილი სურვილი, ძმანო, სურვილადვე რჩებოდა; მას აღარ შეეძლო თავის ცხოვრება ისე მოემართა, რომ ღვთის სიამოვნებაში გაეტარებინა იგი და ამით კვალად მოებრუნებინა თავის შემოქმედის შებრალება: მისი ბუნება დამორჩილებულ იყო იმ ბოროტს, რომელიც სულ სხვა გზას კენ სწევდა კაცს და ამითი მას უფრო აშორებდა თავის უწინდელ სულიერ წყაროს. კაცი თავის თავს მინებებული საუკუნოდ უნდა ტანჯულიყო ამ სურვილის აუსრულებლობით, თუ რომ მოწყალე თვალით არ მოეხედნა თვითეე ყოვლად მოწყალე უფალს, რომელიც ხედავდა ამ საშინელ კაცის გაჭირებას და ებრალებოდა, თუმცა ურჩის, მაგრამ თავისივე ქმნილების ასე საუკუნოდ ტანჯვა. აუარებელ არიან, ძმანო, გზანი უფლისანი და განუსაზღვრელ-სახიერება და კაცთ მოყვარება მისი! მან,—მან ყოვლად მოწყალემან ჩვენ უმადურთა და ძვირის მოქმედთა გამოხსნისათვის არ დაზოგა თავისი მხოლოდ შობილი ძეც კი, რომელმანც აიღო თავის თავზედ ყოველივე ის, რასაც მოითხოვდა ჩვენგან, ჩვენ ცოდვილთა და უბადრუკთაგან საუკუნო იგი სიმართლე უზენაესისა, ხოლო რომლისა აღსრულება ჩვენ უკვე აღარ შეგვეძლო,—და ამ სახით მან თავის პიროვნებით განგვამართლა წინაშე ღვთის მართლ-მსაჯულებისა, განგვამართლა მუქთად, უსასყიდლოდ, განგვამართლა არა საქმეთა გამო ჩვენთა, არამედ ყოვლად სახიერებითა თვისითა, და ეს განმართლება მან მოგვანიჭა იმ პირობით კი, რომ ჩვენ ჩვენის მხრით მივიღოთ ეს მაცხოვარებითი მისი მოწყალება ჩვენი მხურვალე სარწმუნოებით.

ამ ნაირად, ძმანო, „აწ ქრისტეს იესოს მიერ ჩვენ, რომელნი ეგე ოდესმე ვიყვენით შორის, ვიქმენით მახლობელ სისხლითა მით ქრისტესითა“ (ეფეს. 2-13), სარწმუნოებისამებრ ჩვენისა (იქვე მუხ. 8.), ასე რომ „ამიერიდგან უკვე აღარა ვართ უცხო და მწირ, არამედ სახლეულ ღვთისა“ (იქვე მუხ. 19.). ზამოგვიჩნდა, ქრისტეს მორწმუნენო, ზეცით გამომხსნელი, რომელმან „შუა კედელი ზღუდისა მის,“ რომელიც ჩვენმა ცოდვამ აღმართა ჩვენსა და ჩვენს გამჩენ შორის,—ეს „შუა კედელი უკვე დაირღვა“ (ეფეს. 2, 14.) და ჩვენ კვალად შევერთდით ჩვენ შემოქმედთან; კვალად ვპოვეთ ჩვენი ყოვლად უსრულესი ხატი; დაშორებულნი კვალად მიევახლენით ჩვენი უკვდავების წყაროს და, ეხლა, ვისაც შიოდა და სწყუროდა წყაროსა ამისგან, იგი სიხარულით დაეწაფება მას და თავის ამოდენა ხნის შიმშილს და წყურვილს ეხლა მოიკლამს. ზანგველო, ძმანო, კვალად „კარი ცხოვრებისა, რომლისა მიერ თუ ვინმე შევიდეს, სცხონდეს, შევიდეს და გამოვიდეს და საძოვარი ჰპოვოს“ (იოან. 10, 9.). ამიტომ განიშორეთ, ძმანო, ძველი იგი კაცი განხრწნილი და შეიმოსეთ ახალი იგი კაცი ღვთისა მიერ დაბადებული სიმართლითა და სიწმიდითა ჭეშმარიტებისათა“ (ეფეს. 4, 22 და 24). აქამდის, ქრისტეს მიერ, გამართლებულნო, განხრწნილი იგი ბუნება ჩვენი იწამლებოდა და იშხამებოდა ცოდვისა, უსამართლოებისა და ბიწიერებისა საზრდოთი; ეხლა კი, ისევ დაგვიბრუნდა ძველი იგი საძოვარი კეთილისა, სიმართლისა და სიწმიდისა; ღვთაებრივ მსგავსმა ჩვენმა ბუნებამ კვალად იპოვა შესაფერი თვისი საზრდელი ზიარყოფითა და კვალად დაკავშირებითა თავის შემოქმედთან, და ნეტარ ხართ თქვენ, ამისთვის მშიერნი და მწყურვალნი, რამეთუ თქვენ აწ განსძღებით, რამეთუ შიმშილისა და წყურვილისაგან აღელვებული თქვენი სული კვალად ჰპოებს ამ საზრდელის მიღებით დამშვიდებასა და დაწყნარებასა. ნეტარ ხართ თქვენ, რამეთუ თქვენ აქამდინ ცოდვით სავსენი დაშორებულ იყავით, ხოლო აწ ეღირსებით კვალად „ხილვასა მას დიდებასა უფლისასა და განსძღებით გამოჩინებასა მისსა“ (ფსალ. 16. 15,), ვითარცა განმართლებულნი და შერიგებულნი კვალად თქვენ შემოქმედთან, სარწმუნოებისაებრ თქვენისა, ქრისტე იესოს მიერ უფლისა ჩვენისა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ დავფიქრდეთ პირუთვნელად, კეთილ მსახურნო მსმენელნო,—ბევრნი არიან ჩვენგანნი, რომელთაც სულით და გულით შიანთ და სწყურიანთ ეს ღმერთთან განმართლება და ხელ მეორეთ ცხოვრება სჯულისაებრ ღვთისა! სამწუხაროდ უნდა ვსთქვათ, რომ საშინელ და გულ მოსაკლავ მოვლენას ვხედავთ ეხლანდელ დროში: ჩვენი უმადურობა, ჩვენი ზნეობითი დაცემა, ჩვენი ღვთის მზგავსი ბუნების დაბნელება და დახშობა იქამდინ მივიდა, რომ თითქმის აღარც არავინ კი გრძნობს ჩვენში სურვილს—მივიღოთ უსასყიდლოთ იგი მოწყალება უფლისა და განმართლებულთა კვალად მივმართოთ ღმერთსა ჩვენსა, შემომქმედსა და მხსნელსა ჩვენსა. ქვეყნიერმა ამაოებამ, ხორციელთა ვნებათა და მიწიერმა საუნჯემ იქამდისინ დაგვამორჩილეს, რომ აღარც კი გვესმის—რა მნიშვნელობა აქვს სიმართლისათვის შიმშილსა და წყურვილსა; ისე გავერთეენით ქვეყნიერობით და ქვეყნიური შიმშილ-წყურვილით, რომ თითქმის სრულიად დაგვავიწყდა—ვინ ვიყავით და რას მოვაკლდით.

მოვიდეთ, ძმანო, გონებას, მინამ დრო ჩვენ ხელათ არის, გულის ხმა ვყოთ, „არა ერთით მარტო პურითა ცხოვნდების კაცი,“ მოვიფიქროთ, რომ ჩვენ ამ ქვეყნის სამუდამო შვილნი კი არა ვართ,—ჩვენ ვართ მისნი სტუმარნი, და ამიტომ მარტო ამ ქვეყნისკენ კი არ უნდა იყვეს ჩვენი გული და გონება მიდრეკილი, არამედ ყოველი ჩვენი სურვილი, წადილი, ყოველი ჩვენი ლტოლვილება პირველად მიმართული უნდა იყვეს ზეცისაკენ, რომლის მოქალაქობა კვალად დაგვიბრუნა მრავალ მაწყალემან შემომქმედმან. ჩვენ კვალად მოვიპოვეთ, ქრისტიანენო, მადლითა ღვთისათა ის უწინდელი ჩვენი ნეტარება, რომელსაც ასე დაგვაშორა ჩვენმა ცოდვამ. ნუ თუ ამ ნეტარების სურვილი, ამ ნეტარების წყურვილი ჩვენ მთლად მოგვიკვდა, რომ უგულიბელს ვჰყოთ მრავალ მოწყალისა ღვთისა მიერ გამოცხადებული საშუალება მის კვალად მოპოებისათვის!!

რომელთა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ! ამინ.

არქიმანდრიტი მაკარი.

# განცხადებანი.

ისყიდებიან მღვ. დავით ღამბაშიძისაგან გამოცემული წიგნები:

თბილისში: ზრიქუროვის წიგნის მაღაზიაში. ქუთაისში: ძმ. ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. ყვირილაში: ყვირილის ნათლის-მცემლის ეკლესიის საეკლესიო ნივთების საწყობში და დ. ხონში წერეთლის წიგნის მაღაზიაში.

სახელდობრ:

**საქართველოს საეკლესიო ისტორია**

ფასი უყდოთ—ცხრა შაური.

**ქართული ლოცვანი,**

ფასი უყდოთ 30 კ. და ყდით 45 კ.

მღვდელთათვის საიდუმლოების შესრულების დროს საჭირო

**სახელმძღვანელო წიგნი,**

ფასი ყდით ექვსი შაური.

ახალი სასულიერო კონსისტორიათა წესდებულება, ფასი ორი აბაზი.

**ახალი კარაბადინი,**

ფასი ყდით ერთი მან.

---

**ბლაღოჩინების საყურადღებოდ**

ბლაღოჩინებს, რომელნიც მთელი საბლაღოჩინოის ეკლესიებისათვის დაიბარებენ შავი მეტრიკების და აღსარების სიებისათვის საჭირო ბლანკებს, თითო კაპეიკათ გაეგზავნება ფურცელი ხსენებული საბუთებისა.

შინაარსი: მოწინავე სტატია.—ზოგიერთ მღვდელთა საყურადღებოთ.—რომელ წმიდანის სახელობაზე უფრო ბევრი ეკლესიებია აღშენებული სამეგრელოში და რატომ?—საისტორიო მასალა.—ცერემონია.—პალესტინა.—ახალი ამბები და შენიშვნები.—ტელეგრამები.—მოძღვრება.—განცხადებანი.

რედაქტორი და გამომცემელი დეკ. დ. ღამბაშიძე. *Доз. цензурою Кутаисъ, 1887 г. 14 мая.*

საკუთარი მსწრაფლ-მბეჭდავი რედაქციისა.